საქართველო
სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

4100, ქ.სენაკი, შ.რუსთაველის ქ.№243
243, Sh.Rustaveli Str., Senaki, Georgia

Tel.:(0413 27 57 97, Fax.:(0413 275211
E-mail: sakrebulo.senaki@gmail.com
Web address: www.senaki-sakrebulo.ge

№ 81 10 აპრილი 2018 წელი

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოში 2018 წლის 3 აპრილს სენაკის მუნიციპალიტეტის მერიიდან შემოსულ №01/1610 მომართვაზე (სარეგისტრაციო №88) - „სენაკის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებულ ტერიტორიაზე წვრილფეხა ან/და მსხვილფეხა პირუტყვის კერძო საკუთრებაში არსებული ფართის გარეთ ყოლის აკრძალვის ღონისძიებების დამტკიცების შესახებ" - სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომაზე დღის წესრიგის შესაბამისად განხილულ იქნა საკითხი - სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოში 2018 წლის 3 აპრილს სენაკის მუნიციპალიტეტის მერიიდან შემოსულ №01/1610 მომართვაზე (სარეგისტრაციო №88) - „სენაკის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებულ ტერიტორიაზე წვრილფეხა ან/და მსხვილფეხა პირუტყვის კერძო საკუთრებაში არსებული ფართის გარეთ ყოლის აკრძალვის ღონისძიებების დამტკიცების შესახებ" - სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე.

საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი"-ს 106[1] მუხლის მე-2 და მე-4 ნაწილის, 106[2] მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილის, 106[5] მუხლის, სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2018 წლის 10 აპრილის სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოში დაწყებულ იქნეს ნორმატიულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მისაღებად ადმინისტრაციული წარმოება პროექტზე - „სენაკის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებულ ტერიტორიაზე წვრილფეხა ან/და მსხვილფეხა პირუტყვის კერძო საკუთრებაში არსებული ფართის გარეთ ყოლის აკრძალვის ღონისძიებების დამტკიცების შესახებ".
2. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებგვერდზე გამოქვეყნდეს ცნობა - ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე.
3. ნორმატიულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი მიღებულ იქნეს 2018 წლის 3 მაისამდე.
4. ნორმატიულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტთან დაკავშირებული მოსაზრების წარდგენის ვადა განისაზღვროს 2018 წლის 13 აპრილამდე.
5. დადგენილების პროექტი - „სენაკის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებულ ტერიტორიაზე წვრილფეხა ან/და მსხვილფეხა პირუტყვის კერძო საკუთრებაში არსებული ფართის გარეთ ყოლის აკრძალვის ღონისძიებების დამტკიცების შესახებ" გადაეცეს განსახილველად სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიას.
6. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარეს – ზურაბი აფაქიძეს და სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი – საკრებულოს აპარატის უფროსის მ/შ - ბადრი ძაგანიას.
7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი"-ს 177-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად.

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარის მოადგილე: ბადრი კალანდარიშვილი